



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დადოვლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№4 (9.718)

6-13 თებერვალი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

ტყე შეუნახე შვილებსა...



მვ.2

საბავშვო ბაღებში ბავშვებს კვება გაეზარდათ, მომსახურა კერსონალს – სელფასი

მვ.2



მვ.4

„ფრონტერა“: საქართველოში აღმოსანილი გაზის რესურსი 5 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს

სტივ ნიკარსონი: „საქართველო გაზს მიაწვდის თურქეთს და აღმოსავლეთ ევროპის გაზრებს. სამიდან ხუთი წლის ვადაში საქართველო გაზის ექსპორტიორი გახდება“

პირველი მვ.3 პირები ბანსხვამებულნი რაბურსით



სოციალური კაპუტი მვ.2 გაუმჯობესდა



ცუდ ზნეს ნუ დავამკვირვებთ!




მვ.5


იყო თუ არა დაგვიანებული მკურნალობა მესაზღვრის ბარდაცვალების მიზეზი?!

მვ.6

დაკარგული დათვის ბედი და გედები



მვ.8



პირველი პირები ბანსსგაგებულ რაკურსით

ბლიცინტერვიუ

იცი, რომორები არიან დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პირველი პირები „სავარძლებს მიღმა“, რას ნანობენ, ან რაზე ოცნებობენ ისინი? ავას თქვენ გლიცინტერვიუდან შეიტყობთ.



ნიკოლოზ ჯანაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი:

-ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი ჩემს ცხოვრებაში...

-ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი იქნება ჩემი შვილი, რომელიც რამდენიმე თვეში მოველინება ქვეყნიერებას.

-მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

-ძნელია, გამოყო ცალკე აღებული რომელიმე მოვლენა: ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მოვლენამ ჩემი ცხოვრება შეცვალა რადიკალურად. მაგალითად, ცხოვრების სტილი შემიცვალა დაოჯახებამ, მუნიციპალიტეტის გამგებლის პოსტზე მუშაობის დაწყებამ, ამ დროს გრძნობ, რომ საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულება გაკისრია ქვეყნისა და ოჯახის წინაშე.

-უარს ვერასოდეს ვიტყვი...

-ჩემს ოჯახზე, ჩემს მეგობრებზე, ჩემს სამშობლოზე, რადგან ეს ის ღირებულებებია, რომლებიც არასოდეს გადაფასდება ჩემთვის.

-როცა მაქვებნ...

-ვნიტლდები, თავს უხერხულად ვგრძნობ, მაგრამ თუ ვხვდები, რომ ეს შეფასება რეალურია, მაშინ სიამოვნების გრძნობაც მეუფლება.

-როცა მატყუებენ...

-ვბრაზდები. იმიტომ, რომ ტყუილი ჩემთვის მიუღებელია და თან ბევრი ამ საქციელით ცდილობს შენი პიროვნების დაკნინებას. ყოველ შემთხვევაში, მათი მიზანი ამისი მიღწევაა...

-როცა მაკრიტიკებენ...

-კრიტიკასთან ჩემი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია: თუ კრიტიკა სამართლიანია, მაშინ ვიღებ და ვცდილობ, გამოვასწორო ის

მიზეზი, რამაც კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ თუ ის უსამართლოა, მაშინ გულისტყვილი მეუფლება.

-ბოროტება ჩემთვის არის...

-ბოროტება არის ყველა ის ქმედება, ან ფაქტი, რომელიც მიმართულია ადამიანების სანაღმდეგოდ, მათი ჩაგვრისა თუ ძალადობისკენ.

-ვინანობ, რომ...

- ჩემი სამუშაო გრაფიკიდან გამომდინარე, საკმარის დროს ვერ ვუთმობ იმ ადამიანებს, რომელთაც ის სჭირდებათ. ამის გამო სინანულის გრძნობა მეუფლება -ხოლმე.

-ჩემთვის მიუღებელია...

-ორპირობა, ბოროტება, ტყუილი, ლალატი...

-არასოდეს ვამბობ...

-არასოდეს ვამბობ - არასოდეს, რადგან, რაც ვერ წარმოგიდგენია, სწორედ ის შეიძლება შეგემთხვას ცხოვრებაში...

-ცხოვრება რომ თავიდან იწყებოდეს...

-მნიშვნელოვანს არაფერს შევცვლიდი, ცხოვრება ლამაზია თუნდაც იმ პატარა-პატარა შეცდომებით, რომელიც ხშირად ჩვენი მასწავლებელიცაა და მომავალში სწორი ნაბიჯების გადადგმის მაჩვენებელიც.

- თავისუფლება არის...

-თავისუფლება უფრო სულიერი მდგომარეობაა, ვიდრე ფიზიკური. ადამიანი შეიძლება თავისუფალი იყოს ციხეშიც და თავისუფლებაში მყოფი კი თავისი კომპლექსებისა თუ საზოგადოებაში გაბატონებული სტერეოტიპების ტყვე. ქვეყნისა თუ საზოგადოების განვითარებისთვის კი სწორედ სულიერი თავისუფლებაა საჭირო.

-ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ...

-ამ ბლიცინტერვიუს ჩავწერდი.

-ჩემი კომფორტისთვის აუცილებელია...

-კომფორტული გარემოს არსებობა, რომელიც გულისხმობს იმ ადამიანების გარემოცვაში ყოფნას, რომელთაც შესწევთ იმისი ძალა, რომ გამოთქვან თავიანთი აზრი შელამაზებისა და მამებლური დამოკიდებულების გარეშე.

-დედოფლისწყარო ჩემთვის არის...

-სახლი, სადაც ყოველთვის გელიან, სადაც მუდმივად გული მიგიწევს.

მოწყება.

-ვერასოდეს ვიტყვი...

-იმ სამსახურში, სადაც მოსახლეობ, მონოტონური სამუშაოა და არ გინევს მოსახლეობასთან შეხვედრა, სადაც არ გინევს ახლის შექმნება და არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება...

-იმედგაცრუება...

- იმედგაცრუების მიზეზი არის არასწორი მოლოდინები.

-ცხოვრების არც ერთ დღეს არ ჩაუვლია...

-სიბავის ძიებისა და ხვალის დღეზე ფიქრის გარეშე.

-თქვენი ყველაზე საყვარელი საქმიანობა არის...

-მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველა ასაკის ადამიანი მონაწილეობს, მათი აზრის მოსმენა, პრობლემის გაზიარება და მათთან გულახდილი დიალოგი. სოფლის მეურნეობიდან იმდენი სალი აზრი და დადებითი განწყობა მომყვება, რომ დიდხანს მყოფნის საგზალად...

ზვიად ჯანაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

-ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი თქვენს ცხოვრებაში...

-დედა

-მოვლენა, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა...

-ვიტყობდი არა მოვლენას, არამედ მოვლენებს, რომლებიც ყოველდღიურად ცვლიან ჩემს ცხოვრებას.

-უარს ვერასოდეს ვიტყვი...

-ერთგულ გარემოცვაზე.

-როცა მაქვებნ...

-უხერხულობას ვგრძნობ...

-როცა მატყუებენ...

-ვღიზიანდები და ნდობას ვკარგავ.

-როცა მაკრიტიკებენ...

-რა თქმა უნდა, არავის სიამოვნებს, თუმცა, მიბიძგებს უკეთესი ვიყო.

ბოროტება ჩემთვის არის...

-გრძნობა, რომელსაც არ უნდა დაემორჩილო.

ვნანობ, რომ

-პასუხი ვერ მოვუძებნე ამ შეკითხვას.

-ჩემთვის მიუღებელია...

-ლალატი.

-არასოდეს ვამბობ...

-არასოდეს.

-ცხოვრება რომ თავიდან



იწყებოდეს...

-უბრალოდ, უკეთესად დავაკვირდებოდი ცხოვრებას.

-თავისუფლება არის...

-რაიმეს ან ვინმეს მიერ არასასურველი გავლენისგან დამოუკიდებლობა.

-ჩემი კომფორტისთვის აუცილებელია...

სურვილების რეალობასთან შეთავსება.

-დედოფლისწყარო ჩემთვის არის...

-ადგილი, სადაც ჩემი არსებობის ყველაზე მეტი დრო მაქვს გატარებული და, შესაბამისად, შემტკივა გული.

-ტყუილი გამართლებულია, როცა...

-ტყუილი არ არის გამართლებული, მაგრამ არსებობს სიტუაციები, როდესაც ტყუილს გაცილებით მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ზიანის.

-რამ შეიძლება მდგომარეობიდან გამომიყვანოს...

-თუ ადამიანს ნერვები უმტყუნებს, ნებისმიერმა წერილმანმა შეიძლება გამოიყვანოს მდგომარეობიდან.

-ყველაზე ხშირად ვფიქრობ...

-იდუმალ და ამოუხსნელ სამყაროზე.

-ხელისუფლებაში ყოფნა არის...

-უპირველესად, პასუხისმგებლობა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

-მარადიულია...

-ის, რასაც არ გააჩნია დასაწყისი და დასასრული.

-განმარტობა მიყვარს, როცა...

-მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მაქვს მისაღები.

-სტიმულს მაძლევს...

-მზის ამოსვლა.

-ბედნიერება არის...

-ადამიანის და უფლის ნების თანხვედრა.

-ვერასოდეს ვიტყვი...

-მოლაღატი.

-იმედგაცრუება...

-არის არასწორად გათვლილი ქმედების შედეგი.

-ცხოვრების არცერთ დღეს არ ჩაუვლია...

-ჩემს გარეშე.

S O S - ცუდ ზნეს ნუ დავამკვირებთ!

დიდი ხანია, ამ თემასთან დაკავშირებით „ხელები მექვება“, თუმცა თავს ვიკავებდი, რადგან მგონია, რომ ამ საკითხზე წერილის გამოქვეყნებას დიდი შედეგი არ მოჰყვება-მეთქი მაგრამ ორმა ფქტორმა გადამაწყვეტინა, ჩემი სიტყვა მეთქვა, იმ სიტუაციაშიც კი, დარჩება ის „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ თუ რამდენიმე ერთეულ ადამიანს მაინც დააფიქრებს და ზნეს შეაცვლევინებს. მე აღმამფოთებს, და არა მარტო მე, ის ბილნსიტყვაობა, რომელიც, ამ ბოლო დროს, ჩვენს საზოგადოებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, ყური შეეჩვიო და რეაქციამაც იკლო. ადამიანები ბილნსიტყვაობენ ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, ბილნსიტყვაობენ განათლებულები, ნაკლებად განახლებულმა, დიდები და პატარები, მამაკაცები და ქალები, ბილნსიტყვაობა ისმის ტელევიზორის ეკრანიდან, რადიოდან, სოციალური ქსელებიდან. ეს თითქოს „მოდად“ იქცა, ზოგიერთს ის თავისუფლების ერთგვარ გამოხატულებადაც მიაჩნია და ცოტა თუ ფიქრობს იმაზე, ეს ყველაფერი რა დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ეროვნულობას, აბინძურებს და ბილნავს ჩვენს ენას, რყენის ცნობიერებას, რომ დღევანდელი ჩვენი ყურის მოდერენა ცუდად დაუჯდება ჩვენს შთამომავლობას. ცოტა ხანში მათთვის ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური კომუნიკაციის ფორმა გახდება და ამის აღმოფხვრა ძალიან ძნელი და გვიან იქნება! (თუ უკვე გვიანია არაა) ამაზე, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, კიდევ ერთხელ ორმა ფაქტორმა დამაფიქრა: - ტელევიზორში ქართული სერიალი გადიოდა და ჩვეულებრივად უნმანური სიტყვებიც ხშირად ისმოდა. სტუმრად მყოფ ჩემს 17 წლის შვილიშვილს (გოგონა გახლავთ) უკმაყოფილომ ვუთხარი: - რას ჰგავს ახლა ეს, სერიალის სცენარისტს პასუხი უნდა აგებინონ ენის ასეთი შეურაცხყოფისთვის-მეთქი. მან კი ძალიან მშვიდად მიპასუხა: რა მოხდა, აქ საგანგაშოს რას ჰხედავო. გაემრი, მისგან ასეთ შეფასებას არ ველოდი, მეგონა, ისიც მხარს ამოზდა და დაგმობდა ამ ყველაფერს. მივხვდი, რომ საქმე იმაზე ცუდადაა, ვიდრე მე წარმომედგინა. მას და მის თაობას ეს უხამსობა იმდენად ყოველდღიურობად ექცა, ყურში და გონებაში ისე გაუჯდა, რომ დისკომფორტსაც კი აღარ უქმნის. ამას კი ხელს, პირველ რიგში, ტელევიზია და თანამედროვე ლიტერატურა უწყობს. ავიღოთ მაგალითისთვის თუნდაც ბოლო დროის ორი ქართული სე-

რიალი - „ჩენ გვერდით“ და „ჩემი ცოლის დაქალები“. ამ სერიალების პერსონაჟების უმრავლესობა ყოველ წინადადებაში ერთ ან ორ სიტყვას აუცილებლად გინებას ხმარობს, ხან მიზანმიმართულს, ხან უმისამართოდ - „ვახ, ჩემი“, „შე ჩემა“, „ბოზიშვილი ვიყო“... რა თქმა უნდა, უფრო უარესსაც, რომელსაც მე ვერც დავნერ და ვერც ვიტყვი, რადგან ჩემი მორალი ამის საშუალებას არ მძლევს და ჩემს სამეტიყველო ლექსიკონში ეს სიტყვები არ არსებობს. ჩემი აღზრდა-განათლების და გაზრდილობის პერიოდში ეს ტაბუდადებული სიტყვები იყო. იშვიათად თუ ვინმე ხმარობდა მხოლოდ გამორჩეულ სიტუაციებში-ძლიერი გაღიზიანების დროს. ბავშვებთან და მოზარდებთანაც მაქსიმალურად იკავებდნენ თავს. ტელევიზორიდან და რადიოდან ხომ მხოლოდ აკადემიური ქართული გვესმოდა. ზოგიერთი „თანამედროვედ მოაზროვნე თავისუფლებისმოყვარე“ ადამიანი შემომედავება და მეტყვის, რომ ეს ხელოვნური აკადემიურობა

მედ გასართობ თოქ-შოუებშიც. ვილაცას ჰგონია, რომ ეს იუმორის და გაცინების ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ უკაცრავად, სიცილი ბილნსიტყვაობის გარეშეც შეიძლება, თუ მახვილგონივრული და დახვეწილი სატირა იქნება გამოყენებული. მაგალითისათვის სულ ორ მათგანს გავიხსენებ ცნობილ იუმორისტთაგან - ქართლოს კასრაძეს და თენგიზ ჩანტლაძეს. საინტერესოა, აბა, როგორ ახერხებდნენ ისინი თავის დროზე დიდი აუდიტორიების „ახარხარებას“ ბილნსიტყვაობის გარეშე? ან „იუმორინას“ სრული ანშლანგით ჩატარებულ ასეულობით კონცერტს, სადაც პაროდისტებიც კი, ყოველგვარი უზნეო სიტყვების გარეშე გულიანად გვაცინებენ თავიანთ მონოლოგებში. ვერც სერიალ „შუა ქალაქში“ შეხვდებით მაინცდამაინც უზნეო გამოთქმებს, მაგრამ მშვენივრად ვხალისობთ! რადგან ტელესერიალები ვახსენებთ, მინდა გულისტკივილით ვთქვა, რომ ქართული სერიალების გვერდით უფრო ბევრ საზღვარგარე-



ლხმა გინება და უნმანური სიტყვები არ იცის!? როგორ არ იციან, მაგრამ ამას მასოვრივი ინფორმაციის საშუალებებში ნაკლებად ხმარობენ და მართლმაც არიან, რადგან სწორედ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ტელევიზიები, სერიალები, კინო ხელოვნება, ლიტერატურა და სხვა, სწორედ ის წყაროებია, რომელიც საზოგადოების განვითარება-ჩამოყალიბებაზე პირველ რიგში ახდენენ ზემოქმედე-

დგას, იგივე წარმოდინების-სო“ და თითოეული მათგანი თავს გამოავლენს ხოლმე. არ არის ადამიანი, მით უმეტეს მამაკაცი, რომელმაც არ იცის, ან არ გამოუყენებია უცნებურო სიტყვები გაცხარებისას, ოხუნჯობისას, ანეგდოტის მოყოლისას ან სხვა კონტექსტისას ვინრო წრეში, სამეგობროში, მაგრამ თავმოყვარე ადამიანი საჯაროდ არ იკადრებს იგივე სიტყვების გამოყენებას.

უზნეო ქცევები, რომელზეც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, არის უხამსობა, რომელიც მოდის საზოგადოებისაკენ როგორც ნამლეკავი ტალღა და ის აუცილებლად უნდა შეჩერდეს. გავშიფროთ თვით სიტყვა „უხამსობა“. „ხამს“ ანუ „ეგების“, ანუ „შეიძლება“ „უ“ უარყოფის ნიშანია და „უხამსობა“ კი ნიშნავს „არა ხამს“ ანუ „არ ეგების“, ანუ „არ შეიძლება“ ყოველდღიურ სალაპარაკო ენად ვაქციოთ ეს უხამსობა, რაც ბილნსიტყვაობაში გამოიხატება. ან თავად „ბილნსიტყვაობა“. „ბილნი“ რომ არასასურველის გამოხატულებაა, ამაზე ვინმე დავობს?! რა თქმა უნდა - არა. მაშ, რა გამოდის, ის, რომ უხამსობა და ბილნსიტყვაობა უღირსი საქციელია! ამის დასტურად ძველისძველი ხალხური ლექსი მახსენდება:

„ქალავ, რად არ მწერ წერილსა,
შენის ღამაზის სეღითა,
თავს რად არ შამაბირუნებ,
თვალს რად მარიდებ წვენითა,
ნეტავი შენთან მამოფა,
გამაძლო შენი ცქერითა,
დაგადნებოდი ბაგეზე,
გავასარებდი ქცევითა,
არასდროს შამაგებდევრდი,
ან გიხსენებდი დედასა.“

მორალი: კარგი ქცევაა, როცა არ იბღვირები და არ იგინები.

გახსოვდეს, იცოდე სიტყვა და მისი მნიშვნელობა არ ნიშნავს, ხმამაღლა თქვა ყველაფერი. ცუდ ზნეს ნუ დავამკვიდრებთ, გავუფრთხილდეთ ჩვენს დედა ენას და ჩვენს მომავალს!!!

ნაირა გორაშვილი



ბუნებრივი და რეალისტური არ იყო. რა სჯობია ხელოვნური აკადემიურობა თუ ბუნებრივი ბილნსიტყვაობა!? იმედს ვიტოვებ, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს უხერხულ სიტუაციას უქმნის, როცა ტელევიზორთან ოჯახის წევრებთან - მამასთან, ძმასთან, ქმართან ან სხვა ნათესავსა თუ მეგობარ მამაკაცთან ერთად ზის და იქიდან წამი-ნუთს გინება ესმის. ასგზის დამამცირებელია, როცა ქალები და გოგონებიც ისევე იგინებიან, როგორც მამაკაცები. (იქნებ გენდერულ თნასწორობას ვარღვევ, ამას რომ ვგმობ!) გინება ისმის არა მარტო სერიალებში, არა-

თის სერიალს გვთავაზობენ დღეს ტელევიზიები. ამ ბოლო დროს ბრაზილიური და ვენესუელური სერიალები, სადაც ბილნსიტყვაობა ნაკლები იყო, მაგრამ ქცევის ნორმები იყო ჩვენთვის უაღრესად მიუღებელი, (გვულისხმობ ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, ცოლისძეების, მამლების სიყვარულის მოსაპოვებლად გააფთრებულ ბრძოლებს), შეცვალა თურქულმა, ინდურმა და რუსულმა სერიალებმა, რომელიც ოდნავ წინ გადადგმული ნაბიჯია იმის გამო, რომ არც ბილნსიტყვაობა და არც ოჯახის წევრებს შორის გაჩაღებული რომანები. ნუთუ იმ ქვეყნებში ხა-

ბას. სამუნხაროა, რომ ხშირად ვხედავთ ტელეეკრანზე პოლიტიკოსებს, რომლებიც იგინებიან და ბილნსიტყვაობენ. ეს კი მათ დაბალ კულტურაზე მიგვანიშნებს. ეს, რა თქმა უნდა, პარტიულ პოლიტიკას არ განსაზღვრავს და ინდივიდუალურია, მას შინაგანი ეთიკა აძლევს ან არ აძლევს იმის უფლებას, მიუღებელი ტერმინოლოგია გამოიყენოს, თუმცა, უარყოფით გავლენას მაინც ახდენს იმ პოლიტიკური პარტიის თუ ჯგუფის საერთო იმიჯზე. ამიტომ, ყველა საჯარო პირი ვალდებულია, იმეტიყველოს ქართული სალიტერატურო აკადემიური ენით. „კოკასა შიგან რაცა

იყო თუ არა დაზვიანებული მკურნალობა მესაზღვრის გარდასვალის მიზეზი?!

დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოსტზე, კერძოდ პოსტ-საგუშაგო „ლეკის ყურეზე“ შსს სასაზღვრო დეპარტამენტის თანამშრომელი 36 წლის გოჩა ჩითინაშვილი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციით, ჩითინაშვილი ღორის გრიპმა იმსხვერპლა. ამ ფაქტის ირგვლივ მოსახლეობაში რამდენიმე, ურთიერთგამომრიცხავი ვერსია გავრცელდა.

ვერსია 1. მესაზღვრე პოსტზე გახდა ავად, მას მაღალი სიცხე აღენიშნებოდა, მაგრამ, პოსტის უფროსმა ის არ დაითხოვა.

ვერსია 2. ჩითინაშვილი იმიტომ ვერ მივიდა დროულად ექიმთან, რომ სადაზღვევო პოლისის ვადა გაუვიდა, განახლებულმა ბარათებმა კი დაიგვიანა და ის ავადმყოფს ხელზე არ ჰქონდა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, მესაზღვრე გერმანიაშიც კი გადააფრინეს, თუმცა მკურნალობა დაგვიანებული აღმოჩნდა და მისი გადარჩენა ვერაფრით მოხერხდა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ, ჩვენ დავუკავშირდით შსს სასაზღვრო დეპარტამენტის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის უფროსს ლაშა ბაბიჯიძეს, რომელმაც დაადასტურა ჩითინაშვილის გარდაცვალება და ჩვენს კითხვებს უპასუხა:

- ბატონო ლაშა, გარდაცვალებულ ჩითინაშვილთან დაკავშირებით ვრცელდება მისი გარდაცვალების სხვადასხვა ვერსია, რაც თავისთავად ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. რა მოხდა სინამდვილეში „ლეკის ყურის“ პოსტზე?!

- ჩითინაშვილი გარდაიცვალა სავარაუდოდ გართულებული ღორის გრიპის ვირუსით, მაგრამ ის რომ არ დაითხოვეს, ასეთი ინფორმაცია ჩვენ არ გვაქვს, ეს არ შეესაბამება სიმართლეს და თუ ეს დადასტურდება, აუცილებლად მივიღებთ ზომებს, გპირდებით, რომ ეს ფაქტი შესაბამისი ორგანოების მიერ გამოძიებული იქნება.

- ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, დაგვიანებული მკურნალობის მიზეზი ვადაგასული სადაზღვევო ბარათი იყო...

- ბარათის ხელზე არ არსებობის გამო ავადმყოფს არანაირი შეფერხება არ შექმნია, რადგან ბაზაში ყველა დაზღვეულია

დაფიქსირებული, ამასთან ერთად მინდა გითხრათ, რომ სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს ექიმთან მისვლისას არ ესაჭიროებათ სადაზღვევო ბარათი ხელზე, რადგან პირადობის მოწმობა საკმარისია იმისთვის, რომ დაზღვეულის მონაცემები ბაზაში მოიძებნოს, რაც პირდაპირ იძლევა მწვანე შუქს, რომ დაზღვეულმა სამედიცინო დახმარება მიიღოს.

- რომელ სადაზღვევო კომპანიაში არიან დაზღვეულები სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები?

- „პე ეს პეს“ კომპანიაში, რომელმაც უმაღლესი მომსახურება გაუწია თვით ჩითინაშვილს სიცოცხლეში, ის ერთი თვე ლუდუშაურის კლინიკაში იწვა და საკმაოდ მაღალკვალიფიციური ექიმები ემსახურებოდნენ.

- ამბობენ, დამძიმებული ავადმყოფი გერმანიაშიც კი გადააფრინეს, რადგან მესაზღვრეები თანხას აგროვებდნენ, რომ მისი მკურნალობა ეკონომიურად უზრუნველყოთ, რამდენად შეესაბამება ეს ამბავი სიმართლეს?!

- მომზადდა საბუთები, რომ



ის გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში გადაგვეყვანა, თუმცა ავადმყოფი უკვე ისე იყო დამძიმებული, რომ მისი გამგზავრების უფლება ექიმებმა აღარ მოგვცეს.

ჩითინაშვილი ბოლო ერთი თვის მანძილზე ლუდუშაურის კლინიკაში იწვა და იქვე გარდაიცვალა, მისი მკურნალი ექიმი ამბობს, რომ ავადმყოფს

მწვავე სეფსისი, სუნთქვის უკმარისობა და ორივე ფილტვზე ანთება ჰქონდა, რაც ვერაფრით ვერ განკურნეს.

ჩითინაშვილი დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოსტ „ლეკის ყურეზე“ მსახურობდა, მას მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

ლალი მხრიშვილი

„ჭაბუკის სასამართლო ქვეყნებს შორის დავის გარკვევით არ არის დაკავებული“

ჭაბუკის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფაქტუ ბენსუდა იმედოვნებს, რომ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება და რუსეთი პროკურორის ოფისთან ითანამშრომლებენ, თუმცა ასე რომ არ მოხდეს, აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება არ შეფერხდება. „მოამბესთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ბენსუდამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო რესპუბლიკამ თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს, გამოძიება ჩიხში არ შევა.

“ჩვენ ახლახან მივიღეთ ნებართვა, რომ უნდა გამოვიძიოთ საქართველოს

ჩვენ უნდა გამოვიძიოთ საქართველოში ჩადენილი დანაშაული, მათ შორის, სამხრეთ ოსეთში. ძალიან ადრეა იმის თქმა, რომ შევძლებთ ან ვერ შევძლებთ თანამშრომლობას სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო, ხაზგასმით ვამბობ, დე ფაქტო ხელისუფლებასთან, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ მოთხოვნას გავაგზავნი... კიდევ ერთხელ მოვუწოდებ კონფლიქტის ყველა მხარეს, რომ ითანამშრომლონ ჩემს ოფისთან, ეს არის საჭირო იმისთვის, რომ დავადგინოთ სიმართლე. გამოძიების წინასწარ ეტაპზე ჩვენ მივიღეთ მასალები როგორც საქართველოდან, ასევე,

რუსეთიდან. მათ ნამდვილად გამოგვიგზავნეს დოკუმენტები და მჭიდროდ ი თ ა ნ ა მ - შრომდეს, ისევე, როგორც საქართველოში. მე ამ მომენტისთვის ვიტყვი, რომ მჯერა, მწამს, იმედი მაქვს, რომ ასე გაგრძელდება, რადგან ნამოვიდნენ

კონტაქტზე და ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ხელს გვიშლიან. წინასწარი გამოძიების დროსაც არ იყო რუსეთი რომის სტატუსის წევრი, მაგრამ ჩვენთან ითანამშრომდეს”.



ჭაბუკის სასამართლოს პროკურორის თქმით, მათ აქვთ ინფორმაცია, რომ მშვიდობისმყოფელებზე შეტევა იყო როგორც რუსეთის, ისე საქართველოს მხრიდან. მისივე თქმით, კონკრეტულად არ იცის თუ რამდენ ხანს გაგრძელდება გამოძიება, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე,

თუ რამდენად სწრაფად შეძლებს ფაქტების მოძიებას.

“ჩვენს იურისდიქციაში შედის კაცობირობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, ომის დანაშაული და გენოციდი. ოფისი გამოიძიებს, მაგალითად, სამშვიდობოების მკვლელობის ფაქტებს. გვაქვს ინფორმაცია, რომ მშვიდობისმყოფელებზე შეტევა იყო ორივე - როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს მხრიდან. ამის შესახებ ვაპირებთ,

რომ ინფორმაცია მოვიძიოთ”.

“ჭაბუკის სასამართლო ქვეყნებს შორის დავის გარკვევით არ არის დაკავებული. ჩვენი მანდატი არ არის საუბარი თუნდაც ტერიტორიულ საზღვრებზე და ა.შ. ეს არ არის ჩვენი საქმე. ჩვენი მიზანია, მოვძებნოთ ჩადენილ სისხლის სამართლის ყოველ კონკრეტულ დანაშაულზე პასუხისმგებელი პირები, ამიტომ არის საჭირო მყარი მტკიცებულებები, რომ სწორი გადანყვეტილება მივიღოთ და გამოვავლინოთ პასუხისმგებელი პირები, ვინც უნდა აგოს პასუხი. მხოლოდ მტკიცებულებები მიგვიყვანს ინდივიდუალურ პირებამდე. ამ პირებზე მოვითხოვთ დაპატიმრების ორდერის გაცემას. ეს შეიძლება იყოს ერთი პირი ან ერთზე მეტი”.



მთელ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაული. როგორც ჩემი ოფისი აფასებს, შესაძლო დანაშაულის ჩადენის მომენტში სამხრეთ ოსეთი იყო და არის საქართველოს ნაწილი. ამიტომ

